№ 44

ხუთშაბათი, 2 მარტი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 44

ხუთშაბათი, 2 მარტი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

პარასკევს, 3 მარტს, დილის 10 საათზედ,

**თავად ალექსანდრე დავითის მის ჭავჭავაძის**

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, დიდუბის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (2—59—1)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

სადამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница Д-ра *Навасардiана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову (—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე.**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევს 5—6 დის.

**ვ. ვ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი სა განაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## ქართველ ხელოსანთა ამხანაგობის „შრომის"

გამგეობა ამით აუწყებს ამა ამხანაგობის წევრთ, რომ, რადგან 27 თებერვალს კრება არ შესდგა, ამიტომ მეორე **კრება დანიშნულია** კვირას, 5 მარტს, დილის 11 საათზედ, ამხანაგობის სადგომში.

3—1

## ექიმი

## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская противъ кирки.

(100—31—99)

### მთავრობის განკარგულება.

დათხოვნილ იქმნენ თანამდებობიდგან საერო დარაჯების დისტანციის უფროსები: განჯისა-მელიქიშვილი, ჯევანშირისა თავ. გურამიშვილი და შუშისა ქარცევაძე.

დამტკიცებულ იქმნა ტფილისის გუბერნატორის მიერ გორის ქალაქის მოურავის თანაშემწის თანამდებობაზედ ანჯელო ანდრონიკაშვილი.

### თავ. ი. რ. თარხან მოურავი

ხვალ, 3 მარტს, ჩვენს თანამემამულეს, ცნობილს ფიზიოლოგს თავ. ივანე რომანოზისს მეს თარხან-მოურავს ოც-და-ათი წელიწადი უსრულდება სალიტერატურო და საპროფესორო მოღვაწეობისა. იგი 25 წლის სამედიკოქირურგო სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში იყო პროფესორად და 5 წელიწადს პეტერბურგის უნივერსიტეტში. თავ. ი. რ. თარხანიშვილი დაიბადა 1846 წელს, ასე რომ ამ ჟამად 54 წლისაა, დაბადებულია გორის მაზრაში და საშუალო განათლება ტფილისში მიიღო. შემდეგ დაამთავრა სწავლა სამკურნალო-სადოსტაქრო აკადემიაში, იგი დატოვებულ იქმნა იქავე ფიზიოლოგიის მასწავლებლად და შრომობდა პროფესორის სეჩენევის ხელმძღვანელობით, ხოლო 1873—75 წლებიდგან საზღვარ-გარეთ გაატარა, სადაც სწავლობდა დარგს მეცნიერებისას საუკეთესო ფიზიოლოგისტებისაგან. 1876 წელს დაბრუნდა იგი რუსეთში და კვლავ ფიზიოლოგიის პროფესორად იყო ჯერ მისსავე აღმზრდელს აკადემიაშივე და შემდეგ უნივერსიტეტშიაც.

სახელი მოიპოვა და განითქვა განსაკუთრებით თავის მიერ შესწავლულ საგნის შესახებ წაკითხულ საჯარო ლექციებით, სიტყვათა წარმოთქმით და წერილების წერით. ბევრი რამ აქვს დაწერილი ამ ნიჭიერს მეცნიერს, განსაკუთრებით ფიზიოლოგიის შესახებ. მანვე გადმოსთარგმნა რუსულს ენაზედ საუკეთესო შრომანი „ჰისტოლოგიის ტექნიკური სახელმძღვანელო" რანვიესი და „ფიზიოლოგიის სახელმძღვანელო" ფოსტერისა.

როგორც შევიტყვეთ, პეტერბურგში პატივცემულის პროფესორის ნიჭის თაყვანის-მცემლებსა, ნაცნობებსა და მეგობრებს განუზრახავთ იდღესასწაულონ დღევანდელი დღე, ოც-და-ათის წლის შესრულება თავ. ი. რ. თარხნიშვილის სამეცნიერო სარბიელზედ მოღვაწეობისა. გორის მაზრის თავადაზნაურობამ გადასწყვიტა ამ დღეს, 3 მარტს, დეპეშა გაუგზავნოს პატივცემულს იუბილიარს და სთხოვოს ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის გამგე კომიტეტს თავად-აზნაურობის ერთს სტიპენდიას „თავად ი. რ. თარხნიშვილის სტიპენდია" უწოდოს.

ჩვენ ჩვენის მხრივ სულითა და გულით მივულოცავთ პატივცემულს პროფესორს 30 წლის განმავლობაში ნაყოფიერს შრომას და ვუსურვებთ ხანგრძლივს სიცოცხლეს თვისდა სასახელოდ და მეცნიერების საკეთილოდ.

## ახალი ამბავი

*** დღეს, 2 მარტს, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის ი. ნ. სვეჩინის თავმჯდომარეობით მოხდება ქალაქის საქმეთა საკრებულოს წევრთა სხდომა, რომელიც განიხილავს სასჯელთა დებულების მე-406 მუხლის თანახმად ტფილისის ქალაქის მოურავისა და მე 354 მუხ. საგაჭრო-სამეურნეო ზედამხედველების კუზანოვისა და ხეროდინოვის პასუხის გებაში მიცემის შესახებ საქმეს. სხდომა განიხილავს აგრეთვე ქალაქის საბჭოს დადგენილებას ქალაქის უძრავ მამულების დამფასებელ კომისიის წევრის თავ. ნ. ზ. თუმანოვის პასუხის გებაში მიცემის შესახებ, რომელსაც ბრალდება დაფასებითი საბუთებში სიყალბის ჩადენა.

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობის საპატიო წევრმა ბ-ნმა იაკობ სვიმონის ძემ გოგებაშვილმა ამ დღეებში წარუდგინა ხსენებულ საზოგადოების გამგეობას წერილობითი მოხსენება, რომლითაც იგი სამუდამოდ სრულს უფლებას აძლევს გამგეობას გამოსცეს საზოგადოების სასარგებლოდ მისი შემდეგი საკუთარი წიგნები, 1) იავნანამ რა ჰქმნა, 2) ხატის მიზეზი, 3) ასპინძის ომი, 4) მეფე ერეკლე და ინგილო ქალი, 5) ძირითადი უკუღმართობა, 6) ხხივი წარსულისა, 7) ხომლი, 8) კუნწულა, 9) საარაკო თავადსავალი ტახტის მემკვიდრისა, 10) თავ-დადებულნი ქართველნი, 11) მოსავლის მცველნი, 12) Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку, 13) Нормальное письмо, 14) Правда о Тифлисѣ, 15) Къ вопросу о поднятiи уровня образованiя среди грузинскаго населенiя. ამასთანავე ჩვენმა სასიქადულო პედაგოგმა უფასოთ დაუთმო წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას ამ გამოცემებისათვის ყველა დამზადებული კლიშეები. საზოგადოების გამგეობამ, მოისმინა რა აღნიშნული მოხსენება, თავის სხდომაზედ 29 წარსულ თებერვალს დაადგინა: „დიდის მადლობით მიღებულ იქმნას საპატიო წევრის იაკობ გოგებაშვილის შემოწირულება".

ჭეშმარიტად რომ დიდის მადლობის ღირსია ჩვენი უანგარო და ყველასაგან ცნობილი ქველ-მოქმედი და დაუღალავი მუშაკი ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი.

*** გაზაფხულისთვის ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესიები შემდეგ ქალაქში დანიშნული სხვა და სხვა საქმეების განსახილველად: ქ. გორში 6—დგან 17 მარტამდე, ახალქალაქში—20—23 მარტამდე, ახალციხეში 27—31 მარტამდე, სიღნაღში—1 თებერვლიდგან 7 მარტამდე, ზაქათალაში—13-დგან 17 მარტამდე და თელავში—17—22 აპრილამდე.

*** 4 თებერვალს ტფილისის სასამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად საყურადღებო საქმე თავ. წულუკიძის ქალის მარიამის მოტაცების შესახებ. პასუხის გებაში არიან მიცემულნი თავად. კონსტანტინე და ილია წულუკიძენი, ნიკოლორთქიფანიძე და სილოვან ადამია.

*** სოფ. ახალქალაქში აზრადა აქვთ სასოფლო სამკურნალო დააარსონ. ამის გამო ადგილობრივ სოფლის საზოგადოებასთან მოსალაპარაკლად ტფილისის სამკურნალო გამგეობამ სოფ. ახალქალაქში საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე რ. დ. მაჭავარიანი გაჰგზავნა. სამკურნალო გლეხების ხარჯით იქმნება დაარსებული.

*** კავკასიის სამკურნალო წყლებზედ მიმდინარე წელში სამკურნალო სეზონი დაიწყება: პიატიგორსკში 1 მაისიდგან და გასტანს 15 სექტემბრამდე; ესენტუკში—15 მაისიდგან 1 სექტემბრამდე; ჟელეზნოვოდსკში—20 მაისიდგან 1 სექტემბრამდე; კისლოვოდსკში—1 ივნისიდგან 1 ოქტომბრამდე. მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებით უსასყიდლოდ შეუძლიანთ ისარგებლონ სამკურნალო სეზონის მეორე ნახევარში მხოლოდ იმ შეუძლებელ ავადმყოფებთ, რომელნიც სამკურნალო წყლების დირექტორს წარუდგენენ მკურნალის მოწმობას სამკურნალო წყლის ხმარების საჭიროებისა და პოლიციის სიღარიბის შესახებ.

*** **ს. ნიგოითი** (გურია). რკინის გზის სადგურის უფროსისა, თუ სხვა ვისმეს წყალობით არის, არ ვიცით, მაგრამ სიმწარით გამოწერილს ჟურნალ-გაზეთებს ხან სრულიად ვერ ვიღებთ და ხან ნახევარი აკლია. მაგალითად: „კვალის" №№ 7 და 9 ნახევარ-ნახევარი მივიღეთ, „Биржевыя Вѣд." და „Русское Слово" ათში ერთი ნომერი თუ მივიღეთ, დიდი ღვთის წყალობა იქნება.

*** 10 მარტს ქალაქ ხარკოვში დაიწყება სამთო მრეწველობის წარმომადგენელთა კრება, რომელზედაც მიუწვევიათ კავკასიის მრეწველნიც. კრებაზედ, სხვათაშორის, ლაპარაკი იქმნება მთელი რუსეთისათვის სამთო-სამრეწველო ბანკის დაარსების შესახებაც.

*** გუშინ-წინ კრებაზედ ქალა-

ქის გამგეობამ მოიწონა რობისთან დასადებ ხელ-შეკრულობის პროექტი მთა წმიდის გორაზედ ფუნიკულერის გამართვის შესახებ. ამასთან დადგენილ იქმნა შემდეგი გადასახადი მგზავრებისათვის: მამადავითის ეკკლესიიდგან ზემო სადგურამდე ასვლა ან ძირის სადგურამდე ჩამოსვლა ეღირება 10 კაპ. 2, ზემოთა სადგურიდგან ძირითამდე ჩამოსვლა ეღირება 15 კაპ. 3, ძირითიდგან ზემოთამდე 20 კაპ. 4, ასვლა და ჩამოსვლა ეღირება 30 კაპ. ბავშვებს 5 წლამდე უსასყიდლოდ წაიყვანენ იმ შემთხვევაში, თუ ადგილს არ დაიჭერენ. უკვე შემუშავებულ ხელ-შეკრულობის პროექტი 6 მარტს წარედგინება ქალაქის საბჭოს განსახილველად.

*** ტფილისის ქალაქის ლომბარდის გამგე ბ-ნი კაზარიანცი ავადმყოფობის გამო თანამდებობას თავს ანებებს.

*** ადგილობრივ სასულიერო უწყებას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ საქართველოს ეპარქიის იმ საეკკლესიო-სამრევლო სკოლებში, სადაც ქალები სწავლობენ, ხელ-საქმის სწავლებაც იქმნას შემოღებული.

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა ნება დართო კავკასიის საბაღოსნო საზოგადოებას გამართოს შემოდგომაზედ ქ. ბათომში საბაღოსნო გამოფენა. მთავარ-მართებლის მოწერილობა ამის შესახებ საზოგადოებამ უკანასკნელ სხდომაზედ მიიღო. ამავე სხდომაზედ საზოგადოებამ დაადგინა, რომ კვირას, 5 მარტს, თავისს სადგომში გამართოს კერძო საკონკურსო გამოფენა.

*** როგორც გაზეთები იუწყებიან, გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის ცნობილი რომანი „ვოსკრესენიე" ოსმალურ ენაზედაც გადაუთარგმნიათ.

*** „ტფ. ფურც." ბათუმიდგან ატყობინებენ, რომ იქ 26 თებერვლამდის მშვენიერი ამინდები ყოფილა და ჰაერი იმდენად დამთბარა, რომ ბაღებში ხეხილი კიდეც ამწვანებულ-აყვავებულა, მაგრამ ამ უკანასკნელ ხუთ-ექვს დღეში მეტად ცუდი ამინდები დაუჭერია; თოვლი თითქმის 6 გოჯის სიმაღლეზედ დაუდვია.

*** ამ დღეებში ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობამ მიიღო ბაქოდან ორი ათას ორას ორმოცი მანეთი (2,240 მ.) მდგომარე წლის 29 იანვარს იქაურ ქართულ სალამოდგან შემოსული ფული. გამგეობამ ამ ფულიდამ ოთხას ორმოცი მანეთი გადასდო ბაქოში მცხოვრებ შეუძლებელ ქართველ საზოგადოების სწავლა-განათლებისათვის მოსახმარებლად, ორასი მანეთი ქუთაისის სამეურნეო სკოლისათვის და ასი მანეთი ერთის ხელ-მოკლე ყმაწვილის აღსაზრდელად.

*** როგორც „ცნობ. ფურც." გაუგონია, თავ. ანდრონიკაშვილების (მალხაზიშვილის) დიდი მამული გარეთ-კახეთში, რომელიც სახელმწიფო ბანკმა დაინარჩუნა ვალში, თავ. ზაქ. ჭავჭავაძესა და თავ. ლევან ჯანდიერს განუზრახავთ გამოისყიდონ ბანკისაგან.

*** სოფ. აბაშა, (სენაკის მაზრა). აბაშაში მუდამ კარებ-დახშულია საგლეხო სასამართლო. რაც გინდა აუცილებელი საჭიროება იყოს სოფელში და მამასახლისი დაგჭირდეთ, სასამართლოში ვერც იმას იპოვნით და ვერც მის თანაშემწეებს. კვირაში ხუთჯერ რომ შეხვიდეთ და კარებზედ აეტუზოთ, კაცი არ გამოჩნდება თქვენი შემწყნარებელი. საღამოს ჟამს შიმშილით მუცელ ამომწვარი უნდა დაბრუნდეთ შინ.

*** თელავი. აქ მოდის შემდეგი ყოველ-დღიური გამოცემანი: „კავკასი" 20 ცალი, „ტფილ. ფურცელი" 25 ც, „ცნობის ფურც.", 40 ც, „ივერია" 45 ც, „ნორდარი" 2 ცალი და „მშაკი" 4 ც.

*** ბორჩალოს მაზრაში მეტად გავრცელებულა მინდვრის თაგვი, რომელიც მუსრს ავლებს თურმე ნათესს. ეხლა ბორჩალოს მაზრის უფროსს უთხოვნია კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისათვის გვაცოდინეთ, რა საშუალება ვიხმაროთ, რომ ხალხს მინდვრის თაგვებისაგან ყანების განადგურება ავაცილოთო.

*** როგორც კობიდგან იუწყებიან, ამ უკანასკნელს დღეებში იქ დიდი თოვლი მოსულა ასე, რომ ეტლების მიმოსვლა დროებით შეწყვეტილია.

*** ფოთი. 28 თებერვალს, ნაშუადღევის ორს საათზედ, აქ ორი უბედურება დატრიალდა: რკინის გზის მეისრეს ა. ქორიძეს თხრილში ვაჟი დაერჩა. გაუფრთხილებელ მშობლებს ღვთის ანაბარად გაუშვა ბავშვი ეზოში, რომლის უკან წყლით სავსე ღრმა თხრილი ყოფილა. ბავშვი უეცრად შიგ გადავარდა და 20 წამის შემდეგ დედამ წყალზედ ატივტივებული დამჩვალი ბავშვის გვამი იპოვა. ბევრი იცემეს თავში მშობლებმა, ორი მკურნალი მოიყვანეს, მაგრამ ბავშვი ვერ მოაბრუნეს. მეორე უბედურება ის არის, რომ ძველი სახლის დარღვევის დროს, უეცრად შენობა დაიქცა და ორი აგზარელი მუშა საშინლად დაშავდა. დაშავებულთ ექიმებმა მაშინვე დახმარება აღმოუჩინეს და ქალაქის საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ექიმებს ერთის მორჩენის იმედი არა აქვსთ.

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

ახალწლის დღიდგან ხმა-კრინტი არ დამიძრავს, არა მითქვამს-რა იმ დედა-აზრის ძალით, რომ კედელს ცერცვი რამდენიც უნდა შეაყარო, ფეხს ვერ მოიკიდებსო. ნათქვამია, კუზიანს სამარის მეტი ვერა გაასწორებს რაო, და მართალიც არის. მოდი და უკიჟინე ამ კუზიანს,—კუზიანი ხარ-თქო. რასაკვირველია, ზნეობრივად დაკუზიანებულთა შესახებ მოგახსენებთ. მერე რამდენი გვყავს ასეთი კუზიანი! მრავალ არიან ცოდვანი ჩვენნი, ხოლო გზა ხსნისა და ცხოვნებისა ერთიო, გამიგონია სადღაც. ამბობენ, ოჯახს თითო მახინჯი არ დააკლდებაო. თქვენს პირს შაქარი, თუ მთელს ოჯახში ერთი მახინჯია. ვაი, რომ ხშირად, და უფრო უმეტესად, უმრავლესობა მახინჯთაგან შესდგება და არა მახინჯი ათასში ერთი თუ გამოერევა ხოლმე.

აბა გადახედეთ ჩვენს ეხლანდელ ახალგაზრდობის უმეტესობას, ამა ოდესმე დიდთა მამათა შტოსა და ნატამალს. რანი იყვნენ და არიან კი ეხლა რადმე-და?!. დაწვრილმანდნენ, დაფუქსავატდნენ, შინაგანი სულიერი, მამა-პაპისეური ღირსება აღარა შერჩათ-რა და გარეგნად, შრომას უჩვეულნი, ნით გამოლეულნი, ქონებრივად დაბეჩავებულნი, ქვეყნის მეტხორცად, მუქთა-მჭამელად გარდაქცეულან. ჰქონდათ და შრომა, გამოყენება არ იცოდნენ. აღარა აქვთ და რაღა გამოიყენონ? დარჩნენ უქონელნი და უშრომელნი და რაკი ჭამა-სმა უნდათ, რამეთუ ხორციელნი არიან, დადიან და გლეხებს ბატისა და ქათმის საბალახოსა სთხოვენ...

გაგეცინებათ, მაგრამ მართლა ასე-კია. აი, ერთი კორესპონდენტი რასა მწერს შორაპნის მაზრიდგან:

„სოფელს დ—ში მებატონის შვილებს, რომელთაც აღარა გააჩნიათ-რა, გადუკიდნიათ ზურგზედ ბერდანკები, ლეკურები, ლეურკელები, ხარი შეხვდებათ, ძროხა შეხვდებათ, ან ცხვრები, ხოცამენ იქავე ტყეში, ჭამენ, რაც მორჩებათ, სახლშიდაც მიაქვსთ. იძახიან, ბატის და ქათმის საბალახო მოგვეცითო" და სხ.

აი სადამდე მიაღწიეს ჩვენმა ახალმა უშრომელმა ჰრიჰინებმა, რომელთაც ეს წუთი-სოფელი ერთი ვრცელი გაშლილი სუფრა ეგონათ, და როცა ცხოვრებამ თავში ჩაურაკუნა, ახლა „ბატისა და ქათმის საბალახოს" ეძებენ.

კანონით მზრუნველი ენიშნებათ ობლებსა და ჭკუა-გონებით შერყეულთ. მე რომ შემეძლოს, ამ ჩვენის დროის ლხინიკო უქმაძეებს დავუნიშნავდი მზრუნველებს... უბედურება არ არის, რომ უშველებელს ყაზახს იმდენი უნარი არა ჰქონდეს, იმდენად ხელის განძრევა არ შეეძლოს, რომ თავისი გამოსაკვები ლუკმაპური თავისის ოფლით შეიძინოს და სხვათ არ აჰკიდებოდეს მეტ ბარგად?.. ჯანი ჰქონდეს და მარტო ჭამად, თვალი ჰქონდეს და მარტო სხვისის ნაშრომის დასანახად, ხელი ჰქონდეს და მარტო სხვის ნაამაგდარის წარსატაცებლად?!.

დიაღ, მზრუნველი უნდათ, იმისთანა მზრუნველი, რომელსაც უფლება უნდა ჰქონდეს,—ძალათი ამუშაოს იგი და თუ არ დაჰყვა, განაშოროს ასეთი ლხინიკო უქმაძე საზოგადოებას, რომლისაც იგი მეტ-ბარგად და მეტ-ხორცად ითვლება და რომელსაც თავისის ცუდის მაგალითით სწამლავს და ჰშხამავს. ხომ არსებობს კანონი, რომლის ძალითაც, თუ ლოთი კაცი გარეთ გამოვიდა, შეიძლება იგი დაპატიმრებულ და დაჯარიმებულ იქმნას (ნეტა სრულდება-კი ეს კანონი?), მაშ რატომ ისეთი წესიც არ უნდა არსებობდეს, რომ დაბადებითვე უქმს, უსაქმურს, სხვისის მადალ ერდოს მაყარს, უქნარას, და მეტადრე უღონოს უქნარას, რადგან ქონებიანს ქონება დაიცავს იმ დრომდე, ვიდრე მიჰფლანგავდეს,—სასჯელი გარდახდებოდეს ხოლმე და ამითი შემცირდეს ლხინიკო უქმაძეთა რიცხვი და გასავალი.

დროთა მდინარებაც-კი ამცირებს ამ ლხინიკო უქმაძეთა რიცხვს, მაგრამ ჟამთა ვითარებამ, სამწუხაროდ, იმდენი გვიძღვნა, რომ ჯერ კიდევ კარგა ხანს გასწევენ ისინი „ყბად-ასაღებ და წყალ-წასაღებ" წერილების მასალობას.

ჩიორა

## წერილი საინგილოდგან.

საინგილოში ქალის გათხოვება აღებ-მიცემობის საქმედ გამხდარა. მოიზრდება თუ არა ქალი, დაიწყება ვაჭრობა იმის გათხოვების გამო. რომელი საქმროც მეტს ფულს მისცემს ქალის პატრონს, საქმე იმის სასარგებლოდ დასძლევს. ხშირად მოხდება ხოლმე იმისთანა შემთხვევაც, როდესაც ქალს ერთი ვინმე დანიშნავს, რამდენიმე ხანი ქალი თავისს დანიშნულად ეგულება, იმის გულისათვის ვალში ვარდება, რადგან სასიძომ უნდა მიუტანოს ქალს ყოველივე სამკაული, ტანისამოსი და იმის პატრონს ქალის გამოსახსნელი ფული „ჩიხარი", მაგრამ შეიძლება ქალის გათხოვება ამით არ დაბოლოვდეს: თუ გამოჩნდა ვინმე მოცილე, რამდენსამე თუმანს წაუმატებს ქალის საფასურსა და თითონ დაინარჩუნებს სხვის დანიშნულსა და თუ ამ უკანასკნელსაც კიდევ შეეჯიბრა ვინმე, ახლა ის წაართმევს საცოლოს. ამ ნაირად, ქალისა და ვაჟის ბედ-იღბალი ჯვრის წერამდე გადაუწყვეტელია. ქალი ერთის ხელიდგან ხშირად მეორეში გადადის, როგორც უსულ-ხორცო საგანი. ქალის დედ-მამასა და პატრონებს ფიქრადაც არ მოუვათ იკითხონ, ქალი თანახმაა გაჰყვეს მის უნებურად არჩეულს ვაჟს; თუ არა. მაშასადამე, მოედანზედ ძლევის დროშით ის გამოდის, რომელსაც მეტი შეძლება აქვს და რომელიც უფრო მეტად დააჯილდოვებს ქალის პატრონს.

თუმცა საინგილო ბუნებით შემკული და მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ ბუნების სიმდიდრე გაუნათლებელსა და დაჩაგრულს ინგილოს საკეთილდღეოდ ვერ მოუხმარია. სად ეცალა მას განათლებისათვის, როდესაც გარ შემოხვეული ლეკები და თათრები მოსვენებას არ აძლევდნენ. ძილის დროსაც ტანთსაცმელს ვერ იხდიდა, ყოველს წუთს გულის ძგერით მოელოდა, სადაა დაიძახებენ—„არიქათ, მდევარიო". გულ ამაყად უნდა წამომხტარიყო და გაეშურა იქით, სადაც მის თანამოძმეს ლეკები და თათრები დასცემოდნენ.

თავმოყვარე და ამაყი ინგილო ცოლის შერთვის დროს მიეშურება თავისს მეგობარ ზოკთან (საინგილოში ვაჭრობა სულ ზოკების ხელშია, რომელნიც ლენქორანის მაზრიდან არიან მოსულნი), აძლევს თამასუქს და ჰპირდება საარაკო სარგებელს, ოღონდ კი მან დააკმაყოფილოს მისი თხოვნა და ფულის სესხებით ბედნიერ ჰყოს. თავგამოდებული ინგილო, ხელში ფულ დაბღუჯული, მიესწრაფის ქალის პატრონებთან და სიხარულით უთვლის მათ ქალის გამოსახსნელს ოქროებს. თავისს საცოლოს არც-კი ჰკითხავს, თანახმაა იგი მასთან ცხოვრების უღელი სწიოს თუ არა. იქნება საბრალო ქალს ბევრი რამეც აქვს სათქმელი, მაგრამ ვინ რას ათქმევინებს! ამ ნაირ ქალის გათხოვებას ხშირად ბევრი საზარელი შედეგიც მოსდევს ხოლმე: ერთმანეთის მტრობა, შურისძიება, დაწვა და ზოგჯერ კაცის კვლაც. ის ყმაწვილი კაცი, რომელსაც საცოლო წაართვეს, ყოველს ღონისძიებას ჰხმარობს, რომ როგორმე უმტროს თავის მოწინააღმდეგეს. ამისათვის ეხვეწება თავისს მეგობრებს და ნათესავებს როგორმე მიშველეთ გაჭირვებაშიო. თუ დაჩაგრულს სასიძოს იმდენი ძალ-ღონე არ მოსდევს, ეცდება, რომ სხვა რამით მაინც შური იძიოს. ამ გვარად თითქმის ყოველ ავკაცობას საინგილოში ქალის გათხოვება უძევს საფუძვლად. დაეწვა ვისმე სახლი, კაცმა კაცი მოჰკლა, ანუ ვისმეს ვინმემ მტრობა გაუწია, რომ გამოიძიოთ—გამოიკვლიოთ და დააკვირდეთ საქმის გარემოებასა, უეჭველად ამ ავკაცობის ჩადენას რაიმე კავშირი ექნება ქალის გათხოვებასთან.

მაგრამ დროთა ვითარებამ დღეს საინგილოსაც დაჰკრა თავისი ბეჭედი. ინგილო ქალმაც იცნო თავისი თავი, თავისუფლება, გაიგო რომ იგი უსულო საგანი არ არის, რომ საითაც მოისურვონ, იქით გადააგდონ. გავარდა მთელ საინგილოში ხმა, რომ ამა-და-ამ კაცის ობოლმა ქალმა ეკკლესიაში, როდესაც მღვდელი დაეკითხა: თანახმა ხარ ჯვარი დაგწეროთ ამ კაცზედაო, უარი განაცხადა და აღიარა, რომ ამ კაცს ძალ-დატანებითა მრთავენო, მოიხსნა საქმროს მიტანილი ვერცხლეული, დაჰყარა ეკკლესიაში, გამოვიდა და მღვდლის სახლში შევიდა. ხალხი გაშტერებული დარჩა, სასიძო თავის მოყვრებით ხელცარიელი დაბრუნდა სახლში. მექორწინეები, რომლებიც სასიძოს მისალოცად მიეგებნენ, ხახა გამშრალები დარჩნენ, უნდოდათ წასულწამოსულიყვნენ, მაგრამ მასპინძელმა, სასიძოს ძმამ, არ გაუშვა და თავისი ხარჯი ამაოდ არ ჩაატარა; ქალმა ხელ-ახლად აღიარა თავის მოძღვართან, რომ თავს მოვიკლავ და მაგ კაცს არ გავჰყვები ცოლადაო. საინტერესოა აგრეთვე ამ ქალის გაზრდაც: როდესაც დედ-მამა დაეხოცა, იგი ჩააბარეს ერთ მოხუცებულს დედა-კაცს, რომელსაც ეს ქალი ნამუსიანად უნდა გაეზარდა და სასყიდელიც მიელო, რაც მის გაზრდა-გამოკვებაში ეკუთვნოდა. დაობლებული პატარა გოგონა დღითი-დღე ფერხორცით ივსებოდა და იჩენდა მეოჯახეობის ნიჭს. როდესაც მოიზარდა, მისმა აღმზრდელმა მოხუცმა დედაკაცმა იფიქრა: „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო", და მოიწადინა თავის შვილისათვის მიეცა ქალი. გაიგო თუ არა ეს, გაიქცა თავისს ღარიბ მამიდასთან და უამბო ყოველივე საზიზღარი ქცევა თავისი გამზრდელისა. მამიდას, როგორც უღონო ოჯახის რძალს, ეშინოდა, რომ ამ ქალის საქმრო არ მიხტომოდა და ძალით არ წაერთმია მისთვის ქალი. გამოიყვანა და სახალხოდ ქალი სოფლის მამასახლისს ჩააბარა. საქმრო მაინც მოსვენებას არ აძლევდა, შეუჩინა ოინბაზი დედა-კაცები და კაცები და საქმე იქამდის მიიყვანა, რომ ქალი იძულებული გახდა თანხმობა გამოეცხადებინა ხალხთან. შეატყო თუ არა მღვდელმა, ეს ძალდატანებული თანხმობააო, ჯვარი არ დასწერა, ვიდრე ქალი არ აღიარებდა თავის თანხმობას სახალხოდ ყრილობაში. გავიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე დრო და ქალი ისევ თავისს აზრს დაადგა; გამოიქცა მამასახლისის სახლიდგან და მივიდა მღვდელთან, რომელსაც ხელ-მეორედ გამოუცხადა, რომ მე თანახმა არა ვარ მაგ კაცის ცოლობასაო, მღვდელმაც, გამოიყვანა ქალი სოფლის ყრილობაში დ უთხრა: სიმართლე სთქვიო. ქალმა სახალხოდ კიდევ უარი განაცხადა. აქ ამ დროს სასიძოს ძმა, მამა და სხვა ნათესავები იყვნენ. ხალხმა, რომ მოისმინა ქალის სიტყვები, იგი ისევ მამასახლისს ჩააბარა.

ვნახოთ, ეს პირველი გმირი საინგილოს დედათ სქესისა დადგება თუ არა თავისს სიტყვაზედ. ამას კი დავძენ, რომ, თუ როგორმე ამ ქალმა კიდევ თანხმობა განაცხადა, ეს თანხმობა გულწრფელი კი არ იქნება, არამედ ძალდატანებული, რადგან ქალი ჯერ ყმაწვილია და გამოუცდელი.

აი, ამ სასიზღარს გარემოებას თავგანწირვით უნდა ებრძოლოს ის, ვისაც ამ საზოგადოებისათვის გული შესტკივა და თავის მოძმის ჭირი ჭირად მიაჩნია და ლხინი—ლხინად.

გ. ფარადაშვილი.

---

## ნარკვევი

„Русск. Вѣдом."-ში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ბ-ნ პ. შ-ვისა. წერილში ავტორი შეეხება იმ ცვლილებათ, რომელიც სოფელში მოხდა ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ.

„რამდენმამე ათმა წელმა 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტის გამოცემის შემდეგ დიდი ცვლილება მოახდინა გლეხ-კაცის ყოფა-ცხოვრებაში. ამ წლებმა მრავალი ისეთი მოვლენა დაბადა, რომელიც უკეთესის მერმისის მომასწავებელია. სოფლის ცხოვრებასა და აზროვნობას აქა-იქ ახალი, პროგრესიული მიმართულება დაეტყო. გლეხ-კაცის მოთხოვნილება დღითი-დღე იზრდება და ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სოფელი სოფლს გარედ მიეშურება. დაბალსა და მაღალს სკოლებში მოსწავლე გლეხ-კაცების რიცხვის გამრავლება, ხალხისათვის გამოცემულ წიგნების გავრცელება და აგრეთვე მრავალი სხვა მოვლენაც უტყუარი მოწმეა იმისა, რომ უწინდელი ჩაკეტილი და სხვათაგან მოწყვეტილი ცხოვრება სოფელს აღარ აკმაყოფილებს. დღემდის მივიწყებულმა და მიჩუმებულმა გლეხობამ ხმა ამოიღო და თავისი კანონიერი უფლებანი მოითხოვა. გლეხკაცობა გულით და სულით ეწაფება ეხლა იმას, რაც აქამდე თითქმის სხვა წოდებათა საკუთრებას შეადგენდა, და რასაც თვით გლეხიც ერიდებოდა,—სწავლა-განათლებას. განა დიდი ხანია, რაც სოფელი სკოლას მეტ ბარგად სთვლიდა? დღეს არამც თუ ბარგად, გლეხებს სკოლა უპირველესს საჭიროებად მიაჩნიათ. საკმაოა ამის დასამტკიცებლად ისიც, რომ სწავლა-განათლების საქმე ყველაზედ კარგად იმ ერობებშია დაყენებული, სადაც მხოლოდ გლეხნი სცხოვრობენ, სახელდობრ ვიატკისა და პერმისკის ერობებში.

შემდეგ ავტორს მრავალი სხვა საბუთები და სტატისტიკური ცნობებიც მოჰყავს იმის დასამტკიცებლად, რომ გლეხ-კაცის ცხოვრებაში დიდი ცვლილება ხდება.

---

## პაპი ლეონ მე-XIII

დღეს, 2 მარტს, 90 წლის სრულდება კათოლიკეთა ეკკლესიის მეთაური, პაპი ლეონ მე-XIII. ლევ მე-XIII შვილია შეძლებულის მემამულისა და ერში ეწოდებოდა ჯოაკინო პეჩჩი. იგი დაიბადა ანანიის ახლოს 1810 წელს და როდესაც სწავლა დაამთავრა რომის უნივერსიტეტში, პაპმა გრიგოლ მე-XVI დანიშნა იგი Prelato domestico-დ, ხოლო შემდეგ პაპის წარმომადგენლად ბენევენტს, სპოლეტოსა და პერუჯიაში. 1844 წ. მამა ლეონი ხელ-დასხმულ იქმნა დამიეტის მთავარ-ეპისკოპოსად და გაიგზავნა ბელგიაში პაპისავე წარმომადგენლად. 1876 წელს პაპმა პიი მე-IX დაიბარა იგი რომში და თავისს კამერლენგოდ დანიშნა. 1878 წელს იგი დანიშნულ იქმნა პაპად და პირველი პაპი იტალიის შეერთების შემდეგ. იგი პაპად დანიშვნის დღიდგანვე სცდილობს აღამაღლოს პაპის მნიშვნელობა და კათოლიკეთა ეკკლესიის გავლენა განავრცელოს და განაძლიეროს არათუ მარტო დასავლეთში, არამედ აღმოსავლეთშიაც. იგი მტკიცედ ადგა საშუალ საუკუნეთა ეკკლესიის მნიშვნელობის შესახებ აზრს და სცდილობს დაიქვემდებაროს აწინდელი სოციალური აზრთა მდინარება; რამდენიმე ენციკლიკა გამოსცა, რომელშიაც ჰკიცხავს ახალს მეცნიერებასა და ახალს ფილოსოფიას. ფილოსოფიისა და მეცნიერების იდეალად «წმიდა თომას» თომა აკვინელი მიაჩნია. ამავე დროს სცდილობს იგი ეკკლესია გაუმეთაუროს აწინდელ მუშათა მოძრაობას. ყველა რომის პაპი ჰკიცხავდა რესპუბლიკურ წესს ქვეყნის მმართველ-გამგეობისას, პაპმა ლეონ მე-XIII-კი საფრანგეთის კათოლიკეთა სამღვდელოებას მისწერა, ნუ ებრძვით რესპუბლიკას და ამითი მოარიგა საფრანგეთში სახელმწიფო ეკკლესიასთან. რაც შეეხება ეკკლესიის შესახებ საგნებს, იგი ძველ-კი ხასიათის სიმტკიცეს იჩენს; მაგალითებრ: ერთს ენციკლიკაში (საყოველთაო მიწერილობაა ეპისკოპოსთა მიმართ) მან პროტესტანტიზმი სოციალიზმისა, კომუნიზმისა და ნიჰილიზმის სათავედ აღიარა, ხოლო მეორეში პროტესტანტთა მისიონერებს სიცრუისა და მატყუების გამავრცელებლებს უწოდებს. პაპი ლეონ მე-XIII ცნობილია როგორც მწერალი. იგი ცნობილია სღვთის-მეტყველო-საპოლემიკო წერილებით და აგრეთვე ლექსებიც ბევრი აქვს დაწერილი მშვენიერის ლათინურის ენით.

დღეს პაპი ლეონ მე-XIII, როგორც ვთქვით, 90 წლისა შესრულდა. როგორც მნახველები ამბობენ, სატცარის სახისაა თურმე პაპი: საკმარისია ერთხელ ნახოს ადამიანმა და არასოდეს აღარ დაავიწყდება. ისეთი მკრთალი სახე აქვს, თითქო გამსჭვირვალეაო; იმისს სახეს განსაკუთრებულს სანახაობას აძლევს საკმაოდ მოჩრდილი, არწივისებური ცხვირი; სატცარს თვალებზედ ეტყობა ჭკუა, მხნეობა და სიცხოველე აზრისა.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთ ჰოლანდიურ გაზეთში დაბეჭდილია მეტად საყურადღებო სტატისტიკური ცნობები. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, სხვა და სხვა სახელმწიფოს ჯარში გასაწვევ ყმაწვილ კაცთა შორის ყველაზედ ცოტა წერა-კითხვის მცოდნენი რუსეთსა და ოსმალეთში არიან თურმე. სკანდინავიაში, მაგალითად, 1898 წელს 1000 კაცზედ წერა-კითხვის არ მცოდნე მოდიოდა მხოლოდ ოთხი კაცი, შვეიცარიაში—5, დანიაში—8, გერმანიაში—12, საფრანგეთში—123, ინგლისში—127, ბელგიაში—154, ავსტრო-უნგრეთში—388, იტალიაში—480, ესპანიაში—720, რუსეთში—810 და ოსმალეთში—830.

***

თუ რამდენად ძვირად უნდა დაჯდეს აწინდელ დროში ომი, სჩანს, სხვათა შორის, იქიდგანაც, რომ მარტო ერთის ყუმბარის გასროლას იმ ზარბაზნიდგან, რომელსაც კრუპპის ქარხანა ამზადებს, 3400 მანეთი უნდა ასეთის ზარბაზნის მომზადება 160,000 მანეთად ჯდება. ეს კიდევ არაფერი, რომ ზარბაზნის ხმარება დიდ ხანს შეიძლებოდეს; პირ-იქით, 93 ყუმბარის გასროლის შემდეგ ასეთი ზარბაზანი უვარგისი ხდება.

***

ამა 1900 წლის პირველ იანვრისთვის, როგორც მთავარ შტაბის ცნობებიდგანა სჩანს, რუსეთის ჯარში ითვლებოდა სულ 1,248 გენერალი, ამათში 101 სრული გენერალია, 365 გენერალ-ლეიტენანტი და 782 გენერალ-მაიორი. უხნესი გენერალი ექვსია, ექვსივე 89 წლისანი არიან, ამასთან ექვსნივე უცხო ქვეყნელნი არიან; ყველაზედ უმცროსი კი 38 წლისაა. ამ 1248 გენერალთა შორის გენერალ-ფელდმარშალი მხოლოდ სამია. 19 გენერალს არავითარი ჯამაგირი არ ეძლევათ ხაზინიდგან. დანარჩენ გენერლებს, რიცხვით 1229 კაცს, ყველას ერთად ეძლევათ 7, 200, 000 მანეთი წელიწადში. ამათგან მარტო 99 სრული გენერალი იღებს 1, 400, 000 მანეთს.

***

როგორც ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, შეერთებულ შტატების ჯარი სულ 99, 160 კაცისაგან შესდგება (ამ რიცხვში აფიცრებიც არიან ჩათვლილნი). ამათში 34,574 თავისუფალი მეომართა. თვით შეერთებულ შტატებში 34,229 ჯარის-კაცია, პორტორიკოში 3363 კუნძულ კუბაზედ-11 187, ფილიპპინის კუნძულებზედ—32, 315, ალიასკაში—499 დ ჰავაიში—466. 1898 წლის პირველ მაისიდგან, როდესაც ესპანია-ამერიკის ომი დაიწყო, 1899 წლის 30 ივლისამდე ამერიკამ დაჰკარგა სულ 224 აფიცერი და 6395 ჯარის-კაცი; აქედგან 496 კაცი მოკლულ იქმნა, 202 ჭრილობისაგან გარდაიცვალა, 5, 509 კაცი კიდევ ავადმყოფობისაგან. მარტო ფილიპპინის კუნძულზედ შეერთებულ შტატებს მოუკლეს 225 კაცი დ დაუჭრეს 1582 კაცი.

***

ამას წინად პიტებურგში (ამერიკაშია) ერთი მღვდელი, გვარად უაიტი ერთს სასტუმროს ბალში შესულა, სადაც კარგა ბლომად საზოგადოება ყოფილა შეკრებული. ბალში მყოფი, დაუნახავთ რა უცნობთ, მაშინვე თავიანთთან მიუწვევიათ; უაიტიც დათანხმებულა, თუმცა თავისი ვინაობა არ გამოუცხადებია. სადილის გათავების შემდეგ მხიარული საზოგადოება სხვა და სხვა თამაშობას შესდგომია. გაუმართავთ, სხვათა შორის, მასხარული ჯვარის-წერაც. ახალგაზდა ქალი დ კაცი გამოსულა დ გამოუცხადებიათ, ნეფე-დედოფლობას ჩვენ გავწევთ. უაიტს კიდევ მღვდლობა უკისრია. უაიტს ჯვარის-წერა, როგორც რიგი და წესი მოითხოვს, ისე შეუსრულებია. შემდეგ ხელ-ახლა სხვა თამაშობას შესდგომიან. დაღამებისას, როდესაც სტუმრები დაშლილან, დედოფლად ნამყოფის დედას თავის ქალის ძებნა დაუწყვია, მაგრამ ვერსად უპოვნია. „ნეფე-დედოფალი" სადღაც გაპარულან. როგორც აღმოჩნდა, ამ ახალგაზდებს ერთმანეთი ჰყვარებიათ, მაგრამ იმათ ქორწინების წინააღმდეგ ქალის დედ-მამა ყოფილა. რომ ვერაფერი გაუწყვით, მღვდელი უაიტი დაუთანხმებიათ დ ეს მასხარული ჯვარის-წერა გაუმართავთ. ეხლა ეს საქმე სასამართლოში ირჩევა თურმე. უაიტს გამოუცხადებია, რომ მე ჯვარი კანონიერად დავწერეო.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 თებერვალი

ვენა. დეპუტატთა პალატა. კრების გათავების დროს მინისტრ-პრეზიდენტმა პასუხი მისცა იმათ, რომელნიც შეეკითხნენ იმის გამო, რომ ვითომც სამხედრო მასალა მიეცეთ ინგლისის ჯარისათვის. გარეშე საქმეთა მინისტრის თანხმობით, იმან განაცხადა, რომ ნეიტრალიტეტი არსებითად ეხება მხოლოდ მთავრობათა ერთმანეთ შორის დამოკიდებულებას და არა ნეიტრალ სახელმწიფოს ქვეშევრდომთ, ამიტომ ნეიტრალ სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს, რომ არავითარი შემწეობა არ აღმოუჩინოს და არც წააქეზოს მებრძოლი მხარე, მაგრამ თავისს ქვეშევრდომთ ძალას ვერ დაატანს სავაჭრო საქმეები არ იქონიონ. უნგრეთში ცხენების ყიდვის საქმეში მთავრობა სრულებით არ გარევია. ცხენების გამყიდველებმა შემთხვევით ისარგებლეს, რაიც სხვა ომის დროსაც ხდებოდა ხოლმე. მთავრობას არ შეეძლო ცხენების გაყვანა აეკრძალა და ამით ვნება მიეყენებინა ვაჭრობის მთელი ერთი დარგისათვის. ასეთი ბრძანება არ გამოუცია არც ერთს ნეიტრალ სახელმწიფოს; ეს არ მომხდარა არც ოსმალეთ-საბერძნეთის ომის დროს. ვოლფი, რომელიც შეეკითხა ამ საგნის შესახებ მთავრობას, უკმაყოფილო დარჩა მინისტრის პასუხით და წინადადება მისცა პალატას, გამართე ავსტეხოთო, მაგრამ პალატა არ დასთანხმდა.

ლონდონი. «დაილი ნევს»-ს აუწყებენ ვენტერსფლეიდგან, რომ ინგლისის ჯარი მიდის კოლსპრიუტის გასწვრივ. ყველა დივიზიები მონაწილეობას დებულობენ ეხლა უმთავრეს სერებისაკენ მოძრაობაში. კოლსპრუიტის გასწვრივ მოძრაობით რობერტსმა ისევ აჯობა ოსტატობაში ბურებს, რომელნიც იმ მოსაზრებით გამაგრდნენ მდინარე მოდერის გასწვრივ, რომ ინგლისელები ამ გზით გაივლიანო. ეხლა მოელიან, რომ ინგლისის ჯარი დაუბრკოლებლივ შევა ბლუმფონტენშიო.

ვენტერსფლეი. დღეს, დრიფონტეინთან ბრძოლის შემდეგ, რობერტსის ჯარი დაუყონებლივ გამოექანა აქეთკენ ცხენოსანი ჯარის წინ გამომძღვანებით. ბურების შესახებ დღეს დილით ამბავი მოვიდა, რომ იმათ 2000 კაცით და 10 ზარბაზნით გამაგრებული აქვთ სერების მთელი წყებაო. ისინი დაჰფარვენ სწორს გზას, ბლუმფონტენში მიმავალს, რომლისგანაც ინგლისელები 15 მილის მანძილზედ იმყოფებიან. ინგლისელების ჯარი გარს არტყია მტრის სიმაგრეს.

ლონდონი. ოფიციალურად. გუშინ, დამით, ფრენჩმა დაიჭირა ორი სერი, რომელიც ბლუმფონტენს დაჰყურებს.

ლედისმიტი. როგორც დამტკიცდა, ბიგერსბერგთან სიმაგრე დაუჭერიათ ბურების უმთავრესს ჯარებს. ჟუბერი გლენკოში იმყოფება.

კაპშტადი. მეამბოხენი მიუახლოვდნენ ვინვიკსფლეის. გუშინდელს აქეთ ტელეგრაფის მუშაობა შეჩერებულია ვინვიკსფლეემდის.

ლონდონი. რობერტსი დეპეშით იუწყება ვენტერსფლეიდგან 28 თებერვალს: „დღეს ჩვენთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია მტერს და ამ ჟამად ვიმყოფებით ბლუმფონტენიდგან 18 მილის მანძილზედ. ცხენოსან ჯარის დივიზიამ დაიჭირა სიმაგრე რკინის გზაზედ ბლუმფონტენიდგან ექვსის მილის მანძილზე. იმას დაუჭრა მტერმა 321 კაცი, მოუკლა 60 თუ 70 და უგზო-უკვლოდ დაეკარგა 13 კაცი. ჭრილობა მომეტებულ ნაწილად მძიმეა, ვინრე აქამდის იყო, რადგან ბურები ასაფეთქებელ ყუმბარებს ხმარობენ.

ვენტერსფლეი. 29 თებერვალი. დილით რობერტსმა ბრძანება გაუგზავნა ფრენჩს, რომ დღეს საღამომდის დაიჭიროს ბლუმფონტენის რკინის გზის სადგური. შუაღამისას ფრენჩმა გააგებინა რობერტსს, რომ დაუბრკოლებლად დაიპყრა ორი სერი რკინის გზის სადგურის მახლობლად და ტყვედ წამოიყვანე პრეზიდენტ შტეინის ძმაო. ტელეგრაფის მავთულები ჩრდილოეთისაკენ დაწყვეტილია; რკინის გზები დაზიანებულია. რობერტსი ამ ჟამად მიელაშქრება ცხენოსან ჯარის მესამე დივიზიით, რომელიც ჩამოაშორა მეშვიდე დივიზიას, და ცხენოსან ქვეითა ჯარით

ვერნეულგილი. გენერალმა კლემენცმა გათენებისას რეკოგნოსციროვკა მოახდინა იმ აზრით, რომ გაეგო მტრის სადგურის სიმაგრე მდ. ორანჟეს ჩრდილოეთით. კლემენცმა მდინარის სამხრეთით დაიჭირა გორაკი. ყუმბარების სროლა რამდენსამე საათს არ შეწყვეტილა. ბურების მიერ დაჭერილ ფერმას ყუმბარებისაგან ცეცხლი წაეკიდა. ბურები თოფებს ისროდნენ, მაგრამ კანტი-კუნტად. როგორც სჩანს, მტერი აქ ცოტაა. ინგლისის ჯარს არც ერთი კაცი არ დაჰკლებია.

გაუპტაუნი. ინგლისის კავალერიამ ბრძოლა დაუწყო მტერს კლარკკრალსა და შეფერსასტადგან ექვსის მილის მანძილზედ. ბურებს მოუკლეს და დაუჭრეს ექვსი კაცი. ერთი ინგლისელი მსუბუქად არის დაჭრილი.

პეტერბურგი. 29 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორმა, დედოფალმა იმპერატრიცამ, ხელმწიფე მემკვიდრემ, დიდმა მთავრებმა და მთავრინებმა დაათვალიერეს სამხატვრო გამოფენა.

1 მარტი.

კაპშტადი. სესილ როდსი ინგლისში მიდის.

ლონდონი. ლორდთა პალატა. მარკიზ სოლისბერმა წაიკითხა კრიუგერის მიერ გამოგზავნილი წინადადება და აგრეთვე პასუხი ამ წინადადებისა. საპასუხო დეპეშაში ნათქვამია, რომ ინგლისის მთავრობას მარტო ის შეუძლიან გიპასუხოსთ, რომ იმას აზრად არ აქვს დამოუკიდებელნი იყვნენ ტრანსვაალი ანუ ორანჟეს რესპუბლიკაო.

გააგა. მთავრობამ დაიქირავა დიდი შენობა, სადაც სხდომები ექმნება საერთაშორისო სამედიატორო რასამართლოს.

ლონდონი. გერმედიდგან იუწყებიან, რომ ბერკმისტი ისევ დაჭერილია კაპის პოლიციის რაზმის მიერ მაიორ გუკის უფროსობით.

„Times"-ს დეპეშით ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდგან 28 თებერვალს: «ხვალ მიდის ევროპაში მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ მოსალაპარაკებლად დანიშნული ბურების მისია. მისია შესდგება ფიშერისა და ვოლმარაუზ ვესელისაგან.

კაპშტადი. ფრენჩი შევიდა ბლუმფონტენში.

სტრომბერგი. ბრაბანტის ჯარი კვირას, დილით, ალივალნორტში შევიდა იმის შემდეგ, რაც მტერი, ცხარე ბრძოლის შემდეგ, რომელიც შაბათს მოხდა, მდინარის მეორე ნაპირას გავიდა დამით.

პრეტორია. დღეს დილით აქ მოვიდა ჟუბერი მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. არავითარი ოფიციალური ცნობა სამშვიდობო მოლაპარაკების შესახებ ჯერ არ გამოცხადებულა.

ვაშინგტონი. პრეზიდენტების კრიუგერისა და შტეინის თხოვნით, ამერიკამ წინადადება მისცა ინგლის, რომ შუა კაცობას ვიკისრებ მშვიდობიანობის აღსადგენადო, მაგრამ ეს წინადადება მიღებული არ იქნმნა· ამბობენ, რომ ეს წინადადება ისე იყო შედგენილი, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიაწეროს ვინმემ ამერიკას, ვითომც ის ერეოდეს იმ საქმეში, რომელიც არ ეკითხება მასო.

გააგა. მინისტრთა საბჭოს თათბირი ჰქონდა პრეზიდენტს კრიუგერის თხოვნის გამო შუაკაცობის შესახებ. ცოტა იმედი არის, რომ რაიმე გარდაწყვეტილს გზას დაადგეს საბჭო, სანამ სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოთა აზრს არ გაიგებს,

ლონდონი. «ვოლფის სააგენტო». გამოცხადებულია შემდეგი ცნობა: «ტრანსვაალის მთავრობის თხოვნაზედ შუაკაცობის ანუ საქმეში ჩარევის შესახებ, გერმანიის მთავრობამ უპასუხა, რომ იძულებული ვარ ვერ მივიღო ეს თხოვნა, მიტომ რომ, ეს ომი ჩვენ არ შეგვეხებაო. თუ რა გამოვიდა ტრანსვაალის თხოვნიდგან სხვა სახელმწიფოებისადმი, ჯერ ცნობილი არ არის». ამის გამო «ვოლფის სააგენტო» ამბობს: «ჩვენ-მიერ შეკრებილ ცნობებით, ზემო მოყვანილი ამბავი მართალი არ არის და საქმე აი როგორაა: ორივე რესპუბლიკის მთავრობამ პრეტორიაში მყოფ კონსულების

საშუალებით მრავალს დიდსა და პატარა სახელმწიფოს სთხოვა მეგობრული შუაკაცობა. გერმანიის მთავრობამ ამაზე უპასუხა, რომ მზათა ვარ შუაკაცობას ხელი შევუწყო, როცა გამორკვეული იქმნება ამის ძირითადი საფუძველი, ე. ი. როცა აშკარა იქმნება, რომ ორივე მოწინააღმდეგე მხარე მოწადინებულია შუაკაცა იშოვონო».

ლონდონი. «ტაიმს»-ს დეპეშით ატყობინებენ მეფკინგიდგან, რომ მეციხოვნე ჯარი ძლიერ იტანჯება ალყისაგან, საზრდოობს ცხენის ხორცით და ცხენის საკვებისაგან გამომცხვარ პურით. მოდებულია სახადი, მუცელა და ხუნაგი, განსაკუთრებით იტანჯებიან ქალები და ბავშვები. ადგილობრივი მცხოვრებნი შიმშილისაგან იხოცებიანო.

დურბანი. უორენი აქ იმყოფება თავისი დივიზიის ერთი ნაწილით, მაგრამ არ იციან, სად აპირებს ის წასვლას ჯარით.

პეტერბურგი. დღეს მომხდარ სამოცდამერვე ტირაჟში მეორე შინაგან მომგებიან სესხისა უმთავრესი მოგება ხვდა შემდეგ ბილეთებს: ორასი ათასი მანეთი 18346/49; სამოცდახუთმეტი ათასი მან.—5397/41; ორმოცი ათასი მან.—13580/39; ოცდახუთი ათასი მან. 7273/24; ათი ათასი მან. 17944/22; 8763/4, 12150/38; რვა-რვა ათასი მან.—6228/17, 16059/21, 12145/6, 15970/2, 19738/21; ხუთ-ხუთ ათასი მან.—2113/9, 19967/25, 8789/20, 14337/31, 10694/46, 19097/1, 16724/20, 15867/44; თითო ათასი მან.—18750/34, 13295/16, 10826/11, 8427/38, 142/22, 2308/50, 14346/42, 15536/32, 9622/22, 262/5, 5288/43, 10063/21, 2910/26, 11612/28, 2063/31, 10868/43, 2248/27, 14128/32, 195/45, 15655/26.

პეტერბურგის ბირჟა, 29 თებერვალი.

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გარიგებისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% მომგებიანი [illegible] ბის ფურცლ[illegible] სახელმწიფო [illegible] დ-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | $217\frac{3}{4}$ |
| $3\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | | — „ | $91\frac{5}{8}$ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 100 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $97\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 99 | — „ |
| $4\frac{1}{2}$% იმავე ბანკისა | — „ | 92 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $97\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| $4\frac{1}{2}$% იმავე საზოგადოებისა. . . | | 92 „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 293. | — „ | |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | . — | — „ | 272 |

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის" ამ წლის მე-41 №-ში დაბეჭდილია წერილი შემდეგის სათაურით: „დავით ლორთქიფანიძე, თუ კალისტრატე ჩიკვაიძე". ამ წერილში ავტორი ამტკიცებს, რომ ბ-ნმა კალისტრატე ჩიკვაიძემ თავისი უვარგისობა გამგეობის თავმჯდომარეობის ადგილზე ვითომ იმითი დაამტკიცა, რომ რამდენსამე წლის განმავლობაში ურიგოდ მიჰყავდა ბანკის საქმეებიო. მე არ შევეხები იმას, რამდენად მართალია ავტორის აზრი ამ საგნის შესახებ, მხოლოდ არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვუპასუხო ავტორის ამ ნათქვამს: „შესაძლებელია, რომ ბ-ნი დავით ლორთქიფანიძე პირადად ბ-ნ კალისტრატე ჩიკვაიძეს ვერც-კი სჯობდეს, იქნება იგი ბევრგვარის ღირსებით კიდეც აღემატებოდეს პირველს. შეუძლებელია საბანკო საქმეში ლორთქიფანიძე ჩიკვაიძეს არ სჯობდეს, რადგან შეუძლებელია ვინმემ ისე ცუდად წაიყვანოს საბანკო საქმე, როგორც ბატონმა ჩიკვაიძემაო". შემდეგ ავტორი ამტკიცებს, რომ კანდიდატის ღირსებას ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო, საზოგადოებას მხოლოდ იმისათვის უნდა მიექცია ყურადღება, ვინ რომელ დასს ეკუთვნოდაო, რადგან ისინი იმათ ამომრჩევლებს ექვემდებარებიანო. ძლიერ მიკვირს, რომ ამნაირი უხეირო აზრები საჯაროდ გამოთქმულია.

უადგილოდ მიმაჩნია შევეხო აქ ბ-ნ ჩიკვაიძის პირადობას, მაგრამ თუ ის „ბევრგვარის ღირსებით ჩემზედ მაღლად სდგას", საზოგადოება ძლიერ გონივრად მოქცეულა, რომ ის აირჩია ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ და არა მე. კიდევ უფრო საფუძვლიანად მოქცეულა საზოგადოება, რომ არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მარტო დასის ღირსებისათვის, რადგან ამ დასის მოვალეობა იყო, რომ ღირსეული კანდიდატი დაესახელებინა და არა იმისთანა, რომელიც „შეიძლება ბევრგვარის ღირსებით კალისტრატეზედ ნაკლებია". კიდევ უფრო დიდი შეცდომა ყოფილა იმ დასისა, თუ ის ჩემ კანდიდატად დასახელების დროს ხელმძღვანელობდა არა ჩემის პირადის ღირსებით, არამედ იმ მოსაზრებით, რომ ოღონდ კალისტრატე ჩიკვაიძე ნუ იქნება ამორჩეული და ვინც უნდა იყოს, სულ ერთია, რადგან, როგორც ჰფიქრობს ავტორი, შეუძლებელია საბანკო საქმეში მე არა ვჯობდე ჩიკვაიძეს, „შეუძლებელია ვინმემ ისე ცუდად წაიყვანოს საბანკო საქმე, როგორც ბ-ნმა ჩიკვაიძემ.

ამ უცნაურის მოსაზრებისაგან გამოდის, რომ ბანკის თავმჯდომარედ ვინც უნდა ამოგვერჩია, ჩიკვაიძეზედ უკეთესი იქნებოდა. მე არა ვფიქრობ, რომ იმ პატივცემულ საზოგადოებას, რომელმაც მე დამასახელა კანდიდატად, ამ ნაირი საფუძვლით ეხელმძღვანელა, თორემ ამისთანა საზოგადოების არა თუ წარმომადგენლად, წევრადაც არ ვისურვებდი დარჩენას.

კიდევ უფრო უსაფუძვლოა ავტორის ის აზრი, რომ ბანკის თავმჯდომარე ექვემდებარება თავისს ამომრჩეველს დასსაო და მისს პირადობაი ვითომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. არ ვიცი, შესაძლებელია, რომელიმე ჩემი მომხრე ხელმძღვანელობდა ამნაირის მოსაზრებით, მაგრამ მე კი, როდესაც მივიღე ჩვენის საზოგადოების ერთის ნაწილისაგან წინადადება, რომ კანდიდატობა მეკისრა, ვფიქრობდი მხოლოდ იმას, რომ წამეყვანა ბანკის საქმე კანონისა და წესდების თანახმად, ჩემი ღონე და ძალა მომეხმარებ ნა საზოგადოებისა, და არა რომელისამე დასის, ან კერძო ადამიანის სამსახურისათვის და სრულიად არ მომსვლია აზრად, რომ რომლისამე დასის ან კერძო კაცის ყმა გავმხდარვიყავი.

დ. ლორთქიფანიძე.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

### სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტი

4 მარტი.

საქმე ბრალდებულთა თავ. კონსტანტინე და ილიკო წულუკიძეთა, სილოვან ადამიასი და ნიკოლოზ ლორთქიფანიძისა, რომელთაც კნიაჟნა მარიამ წულუკიძის მოტაცების ბრალი ედებათ.

საქმე ნიკო ნანავასი, მაქსიმე კვარაცხელიასი, საუ ბერიშვილისა და ანდრია მარქიასი, რომელთაც სასჯ. დებულების მე 1654 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

11 მარტი.

საქმე სალდა მარგანიასი, რომელსაც ქურდობის ბრალი ედება.

საქმე ბარუჩა შელიასი დ პავლე ფიჩხაისი, რომელთაც ავაზაკობის ჩადენის ბრალი ედებათ.

საქმე დიტო ბაჩილავასი და ძიკი ბაბილუასი, რომელთაც ავაზაკობის ჩადენის ბრალი ედებათ.

16 მარტი.

საქმე ბრალდებულის ფოთის პოლიცმეისტერად ნამყოფისა მაქსიმე ვოლობუევისა, ინჟენერის ევგენი მეიერისა და სხ., რომელთაც სასჯ. დელ. მე-942 და 236 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

18 მარტი.

საქმე გიორგი თომაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვის ბრალი ედება.

საქმე მიხეილ მეფისაშვილისა, ტუფან-რაჯაბ-ოღლისა და სხ., რომელთაც ივანე მეფისოვის მოკვლა ჰბრალდებათ.

24 მარტი.

საქმე ალექსანდრე ჩხენკელისა და ნესტორ გაბუნიასი, რომელთაც სასჯელთა დებულების მე-1655 მუხ. მე-2 ნაწ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

საქმე ივანე არველაძისა, რომელსაც კაცის მოკლა ჰბრალდება.

საქმე გიორგი მათუასი, კიმოთე შენგელიასი, დათა ლიპარტიასი და სხვ., რომელთაც ქურდობის ჩადენა ჰბრალდებათ.

საქმე კუტა გერგაიასი, ეგნატე ცხადაიასი და ივანე სალაყაიასი, რომელთაც ქურდობის ჩადენა ჰბრალდებათ.

საქმე პართენ კალანდიასი და ფილუ კვარაცხელიასი, რომელთაც ქურდობის ჩადენა ჰბრალდებათ.

### პირველი სამოქალაქო დეპარტამენტი

(გადმოტანილია სააპელაციო საჩივრით ქუთაისის ოლქის სასამართლოდგან)

9 მარტი

დავა ივანე და სხ. მანჯაგალაძეთა, ანტონ და პავლე ივანეს ძეთა მანჯაგალაძეთა, წინააღმდეგ მიწის შესახებ.

დავა ქუთაისის საგუბერნიო მართველობის რწმუნებულისა ხუნჯუას წინააღმდეგ მიწისა და ზარალის შესახებ.

დავა ელისაბედ ქანტურიასი და ივანე ბოკუჩავასი, ვითარცა დიმიტრი ბოკუჩავას ობლების მზრუნველის მიწის შესახებ.

დავა პეტრე ივანეს ძის ცულაიასი ბესარიონ ჩორგოლაშვილის წინააღმდეგ მამულის შესახებ.

დავა გედევან ბახტაძისა, სარდიონ ქუთათელაძისა და გერასიმე სანაძეს წინააღმდეგ ანგარიშის წარდგენის შესახებ.

# განცხადებანი

## ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს,

რომ მან, 1900 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილების თანახმად, **ქალაქის სამკურნალოსა და იმის განყოფილებებში** ავადმყოფთა მიღების საქმის განსაწესრიგებლად, შემდეგი **წესები დაადგინა:**

1, ქალაქის სამკურნალოსა და იმის განყოფილებებში (კუკიისა, ხარფუხსა და ავლაბრისაში) უსასყიდლოდ მკურნალობა შეუძლიანთ მხოლოდ ღარიბებს. უსასყიდლოდვე მიეცემათ მათ წამლები. ღარიბებმა სამკურნალოში ჩაწერის დროს უნდა წარადგინონ სიღარიბის მოწმობა.

2. ამ მოწმობების მიღება შეიძლება: პოლიციისაგან, ყველა სარწმუნოების მღვდლებისაგან, ყველა მკურნალებისაგან, როგორც ქალაქისა და სახელმწიფო სამსახურში მყოფთაგან, აგრეთვე კერძო მკურნალებისაგანაც. სანიტარო მზრუნველთა, საქველმოქმედო საზოგადოებათა, სავაჭრო, სახელოსნო და სხვა წოდების მამასახლისთაგან, სახელმწიფო დაწესებულებათა უფროსებისაგან და აგრეთვე სასწავლებლების გამგეთაგან.

3. სიღარიბის მოწმობები არ მოეთხოვებათ მხოლოდ იმ ავადმყოფთ, რომელთაც დაუყოვნებლივ უნდა აღმოუჩინოს სამკურნალო დახმარება.

4. სამკურნალოსა და იმის განყოფილებებში ჩაწერა შეიძლება შუადღის 12 საათამდე.

(3—6.—1)

პუშკინის ფოტოგრაფია

**ა. ს. [illegible]**

არსებობს 1892 წლიდან [illegible]

[illegible]

(30—44—9)

## რა უპირატესობა აქვს სხვა საზოგადოებასთან შედარებით ნიუ-იორკის საზოგადოებაში სიცოცხლის დაზღვევას?



**ის,** რომ ეს საზოგადოება ერთი უდიდესთაგანია და სანდოა დედამიწაზედ.

**ის,** რომ იმისი აქტივი 416,773,000 მანეთს აღემატება.

**ის,** რომ „ნიუ-იორკის" საზოგადოება საურთიერთოა და იმისი თანხები და მოგებანი დაზღვეულთა საკუთრებას შეადგენს.

**ის,** რომ „ნიუ-იორკს" საპატიო წარსული აქვს, 54 წელიწადი არსებობს, რომლის განმავლობაშიაც იმის საფინანსო ძალა და წარმატება პროგრესიულად იზრდება,

**ის,** რომ იმის პოლისები ნაღდი და ეჭვ შეუტანელია, თუ პრემია თავისს დროზედ იქმნება მეტანილი, საზოგადოება დაუყოვნებლივ და უდავოდ იხდის დაზღვევის გადასახადს და, ამ რიგად, დამზღვევს სრული იმედი უნდა ჰქონდეს, რომ იმისი ქვრივი და შვილები ანუ კანონიერი მემკვიდრენი უდავოდ მიიღებენ თანხას.

**ის,** რომ იმისი პოლისი სამის წლის შემდეგ დაურღვეველი ხდება [illegible]

**ის,** რომ [illegible] სამი წლის განმავლობაში მაინც, დამზღვევს შეუძლიან მიიღოს საზოგადოებისაგან სესხი წლიურ 6%-ზე.

**ის,** რომ „ნიუ-იორკის" საზოგადოება ასეთს პოლი[illegible] სესხსაც იძლევა, რომლის ძალითაც, დაზღვეულის თანხის გარდახდის გარდა, მემკვიდრეებს დაუბრუნდებათ დაზღვევისათვის შეტანილი ყველა პრემია იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი გარდაიცვლება ხელ-შეკრულობით დადებულ ვადის—10, 15 ან 20 წლის,—განმავლობაში.

**ის,** რომ „ნიუ-იორკის" საზოგადოებას საშუდამო წინადად შეტანილ 500,000 მანეთის გარდა, საპრემიო ფული რუსეთში დაზღვეულთა დასაკმაყოფილებლად შეაქვს სახელმწიფო ბანკში. ამ ჟამად განსაკუთრებული ფონდი შენახულის ფულისა „ნიუ-იორკის" საზოგადოებაში იმ დაზღვეულთა, რომელნიც რუსეთში სცხოვრობენ, 9,053,000 მანეთს აღემატება.

**ის,** რომ „ნიუ-იორკის საზოგადოების მოქმედება რუსეთში რუსეთის მთავრობის კონტროლის ქვეშ იმყოფება, ასე რომ პოლისები ყოველის მხრით უზრუნველ[illegible]

**ის,** რომ ყველა დასახელებულ პირობათა გამო, „ნიუ-იორკის" საზოგადოების პოლისი [illegible]

**ის,** რომ „ნიუ-იორკის" საზოგადოება ერთად ერთი [illegible]

მთავარი გამგეობა რუსეთისათვის: პეტერბურგი, მალაია მორსკაია, 12.

საზოგადოების საქმეთა მთავარი გამგე რუსეთში **პ. პ. მელლერია.**

განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პროსპექტი, ახალი სახლი არაფელოვისა (კადეტის კორპუსის პირდაპირ)

(12—50—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Марта 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე